რეალურად რა იდეოლოგიურ დატვირთვას მიიღებდა იესო გამოცხადებისას, ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო ნათელი, გარდა იმისა, რომ აღსასრულის დღეს დაამარცხებდა სატანას და ცოდვილებს ჩაყრიდა ჯოჯოხეთში, უცოდვილებს კი მისცემდა მარადიულ სიცოცხლეს. მოკლეთ, ის,- რაც იკითხება აპოკალიფსის სცენიდან.

მისი სულიერი არსის ჩამოყალიბება მოხდა თანდითანობით და საბოლოო სახე მიიღო ახ.წ-ს. II-ე ს-ში, რაშიც გადამწყვეტი როლი იქონია რომის იმპერიის მიერ ისრაელის დაპყრობამ, რასაც ადგილი ჰქონდა ახ.წ. I ს-ის 67-წ-ს.

ამ დროს ებრაელები, რომლებიც ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ეგვიპტის ჭიშკართან და ეწეოდნენ ალებ-მიცემობას, რჯულიდან გამომდინარე დახელოვნებულებიც იყვნენ სიმდიდრის დაგროვების საქმეში, აღმოჩნდნენ რა რომის იმპერიის შემადგენლობაში, სადაც უპირატესად „თავისუფალ მიწადმოქმედთა და მხედართა ფენის“ ხელში იყო ურიცხვი ნაძარცვი თუ ნაბოძარი უძრავ-მოძრავი ქონება, მაგრამ ბიზნესში ცოტა რამ თუ გაეგებოდათ, რადგან ქონება ძირითადად დაგროვილი ჰქონდათ ბრძოლის გზით,- საგულისხმოა, რომ ებრაელებს გაუჩნდებოდათ ამ ქონების უბრძოლველად ხელში ჩაგდების სურვილი, მით უფრო, რომ „კუნთების“ ძალით ამას ვერ გააკეთებდნენ. საამისოდ აშკარაა, რომ გამოიყენეს უკვე არსებული მესიის თემა, რასაც დაუმატეს მხოლოდ ის, რომ აღსასრულის დღე მოახლოებულია, და ვინც რაიმე სიმდიდრეს ფლობს, მას ღმერთი სამსჯავროს დროს ჯოჯოხეთში ჩაგდებს მუდმივ სატანჯველად. ხოლო მათ, ვინც არაფრის მქონეა,- დააჯილდოვებს მარადიული სიცოცხლით! მოკლეთ, საგულისხმოა, რომ შექმნეს ლეგენდა და ასე დააშორი-შორეს ებრაელებმა ქონება, მათ მფლობელებს, რომელსაც ცხადია თავადვე დაეპატრონებოდნენ სიმბოლურ ფასაებში. ქონება დაკარგულები კი გააწევრიანეს რელიგიურ სამშობებში, სადაც მათვე მოევლინნენ სულიერების სამართავად მღვდლრებად! ხოლო როდესაც მორწმუნენი მიხვდებოდნენ, რომ მოატყუეს, რომ არა და არ დგებოდა აღსასრულის დღე, რასაც იმავე თაობაში პირდებოდნენ, აი მაშინ, რომ არ მოეწყოთ საყოველთაო აჯანყება დაკარგული ქონების დაბრუნების მოთხოვნით, მათი გონება ქრისტეს „მთაზე ქადაგებით“ მიაჯაჭვეს სამარადისოდ არ არსებულ ზეციურ საკრალურზე და აქტიური პოზიციიდან გადაიყვანეს იმედის მომცემ მორჩილობით პასიურ რეჟიმში, რაც გრძელდება ღემდე!

„რელიგიურ სამშობებში“ ქონება დაკარგული მორწმუნეები კი თანდითანობით გადაიქცნენ ამ „სამშობთა“ ყმებად, მათ ქონებას დაპატრონებულები კი, - სასულიერო და ფეოდალურ ფენებად.

მრევლს კი რომ არ გაეგო თუ ვინ იყო რეალურად მათი მღვდელი წარმომავლობით, მღვდლები ზედმეტ სახელებად ირქმევდნენ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სახელებს, რაც გრძელდება ასევე ღემდე.

ქრისტიანობის გაჩენის ჩვენეულ ვერსიას ადასტურებს თვით ქრისტეს მოქმედებაც, როდესაც მასთან მივიდა ახალგაზრდა და ჰკითხა, რა გავაკეთო ისეთი რომ მუდმივი სიცოცხლე დავიმკვიდრო,- ქრისტემ უპასუხა: „... გაყიდე

შენი ქონება მიეცი ღარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში, მერე მოდი და გამომყევი“ (მათე, 19:21).

უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც ქრისტიანული მოძრაობა სულ უფრო და უფრო გავრცელდებოდა ფართო მასებში, აღსასრულის დღე კი არა და არ დგებოდა, რასაც იმავე თაობაში პირდებოდნენ, და შეეძლო ამას ქონება დაკარგულთა სამართლიანი პროტესტი გამოეწვია, აი მაშინ, ვფიქრობ რომ მათ გასანეიტრალებლად შეიმუშავეს „ქრისტეს ქადაგება მთაზე“, რომელშიც ნათქვამია:

„ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“;

„ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშდებულ იქნებიან“;

„ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას“;

„ნეტარ არიან სიმართლისათვის მშვიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძლებიან“;

„ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა“ და სხვა და სხვა(მათე, 5:1–12).

ამ ქადაგებით მორწმუნეთა გონება მიჯაჭულ იქნა არ არსებულ ზეციურ საკრალუზე!

როგორც ხედავთ „ქადაგების“ სიტყვები ესადაგება მოტყუებულ, ქონება დაკარგულ, გაწბილებულ ადამიანთა შესატყვის ფსიქიკას?!

„ქადაგება მთაზე“ საინტერესოა იმიტომაც, რომ მორწმუნეებს ამ ქვეყნიური ცხოვრება არარაობად უქციეს, რათა არსებული უსამართლობა არ მიეტანათ გულთან უკეთესი ზეციური მომავლის იმედით!

ეს „ქადაგება“ შემდეგ პავლემ განავითარა იმდაგვარად, რომ მქონებელიც და უქონელიც „იესო ქრისტეში“ გააერთიანა (პავლე გალათელთა, 4:28), და წაშალა ზღვარი არსებულ უსამართლობას შორის.

მოკლედ, მესიის თემა იყო რა მითოლოგიურად ცოცხალი მისი მოდერნიზებით ებრაელებმა ფაქტობრივად რომის იმპერია დაიპყრეს მატერიალურად და სულიერად, რაც უნდა იქნეს მიჩნეული „ბიბლიური მიზნისკენ“ მიმავალ გზაზე მეორე გრანდიოზულ ეტაპად.

როდის მიხვდება ამას ხალხი ჯერ კიდევ უცნობია, რამეთუ მას შემდეგ 2000 წ-ზე მეტი დრო გავიდა და ჯერამც არ აქვთ გაცნობიერებული, რომ იგი დანაშაულებრივი მიმდინარეობაა!.

ამაზე ნუ ამიტეხენ ისტორიკოსები დავას, ეს ფაქტია!

§-4. ბიბლიური მორალი

ბიბლიაში უამრავი ქცევის ნორმაა ჩადებული, მათ შორის ძველი აღთქმის „ათი მცნება“ და ქრისტეს „ქადაგებანი მთაზე“.

„ათი მცნება“ იუდაიზმის ეთიკური სისტემის ბირთვია, რომელსაც იზიარებს ქრისტიანობაც. ამ მცნებათაგან ერთ-ერთია „პატივი ეცი შენს მშობლებს, რათა შენი დღეები გაგრძელდეს“, – ნათქვამია არა მათდამი სიყვარულიდან გამომდინარე, არამედ ეგოისტური თვალსაზრისით, „რომ თავად იცოცხლო დიდხანს“!

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ეს მიიღო ღვთიურ შეგონებად.

„არა კლა“, – ეხება თუ არა ყველა ცოცხალს, – გაურკვეველია. ალბათ ეხება კანონსაწინააღმდეგო მკვლელობას. თუმცა იქვე „ძველ აღთქმაში“ უამრავ ადგილას ვხვდებით, როდესაც ღმერთი ავალდებულებს იუდეველებს ჩაიდინონ არნახული მკვლელობები.

აღიარებულია პრინციპი: „სიცოცხლე -სიცოცხლის წილ“, „თვალი- თვალის წილ“ (გამოსვლა 21:23–25).

ეგვიპტიდან ქანაანში შესვლამდე ისრაელებს გზად უნდა გაევლოთ რიგი ქვეყნები და თუ რომელიმე მათგანის მოსახლეობა გაუწევდა წინააღმდეგობას, – ღვთის წყალობით მათ ისინი უნდა ამოეწვიტათ.

ასე მაგალითად, როდესაც დაადგენენ ბაშანის გზას, მათ წინააღმდეგ გამოვიდა ბაშანის მეფე ყოგი და ჯარით შეებრძოლა.

უფალმა მოსეს პირით უთხრა ისრაელებს: „ნუ გეშინიან მისი, რადგან ხელში ჩაგიგდებ მას და მთელ მის ჯარს, მთელ მის ქვეყანას. იმასვე უყოფთ მას, რაც უყავით სიხონს, ამორეველთა მეფეს, ხეშბინში რომ ცხოვრობდა“.

ისრაელებმაც მუსრი გაავლეს მათ, მის ვაჟებსა და მთელ მის ქალაქს, ისე, რომ არავინ დარჩენილა და დაისაკუთრეს კიდევ მათი ქვეყანა (რიცხვნი, 21:33–35).

ისრაელთა წესი იყო, რომელ ხალხსაც სძლევდნენ უნდა გაევლოთ მუსრი და თანაც არა საკუთარი, არამედ ღმერთ იეჰოვას სახელით, რომელიც მთელ სამყაროს ღმერთად მოიაზრებოდა.

ამ მხრივ სამაგალითოა ებრაელთა შებრძოლება მადიანელებთან, რომლებიც დადანაშაულდნენ მასში, რომ მათმა ქალებმა თავისკენ გადახარეს მათი ვაჟები და მათაც დაიწყეს საკუთარი რწმენისადმი ღალატი.

ამის გამო და იეჰოვას დავალებით ებრაელებმა ყველა მათი მამაკაცი მოკლეს, ხოლო მათი ცოლები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს, მიიტაცეს მათი ქონება, მამული და პირუტყვი“ (რიცხვნი, 31:7–9).

აღნიშნულის შესახებ შეიტყო რა მოსემ, ჰკითხა ებრაელებს: „**თქვენ ცოცხალი დატოვებთ ყველა ქალი?** და როდესაც მიუგეს დადებითი პასუხი, მან ბრძანა: „გაწყვიტეთ ბავშვებში ყველა მამროვანი და ყოველი ქალი, რომელსაც შეცნობილი ჰყავს მამაკაცი, ხოლო ყოველი დედროვანი ბავშვობაში, რომელსაც არ შეუცვნია მამაკაცი... ცოცხალი დატოვებთ“ (რიცხვნი, 31:15–18) და ასეც მოიქცნენ.

ასეთი იყო ისრაელთა მასწავლებელი და ბელადი მოსე, რომელსაც ვითომდა არანაირი ცოდვა არ ედვა, რომელმაც მარტო ხბოს კერპის დამზადების მოტივით ამოწყვიტა სამი ათასზე მეტი ებრაელი.

იესო ნავინმაც, რომელიც მოსეს შემდეგ ებრაელ ხალხს ჩაუდგა სათავეში, იეჰოვას დავალებით არაერთი ცოდვა ჩაიდინა. მთლიანად მოსპო ქ.იერიხონის მოსახლეობა, მათ შორის მათი სახედრებიც, ერთი გამონაკლისის, – მეძავი ქალის გარდა, რომელთანაც იმალებოდნენ მისი ჯაშუშები (ი.ნავინი, 6:20–22).

იესო ნავინმა მთლიანად ამოწყვიტა, ასევე ქ.გაის მოსახლეობაც, რომელიც 12 ათას კაცს ითვლიდა (ი.ნავინი, 8:25–26).

და ყოველივე ეს სრულდებოდა არა ღმერთ იეჰოვას კანონის დარღვევის გამო, არამედ აღასრულებდნენ მას.

როდესაც **მეფე საულმა** მოსპო ამალიკეტიანთა ყოველი მოსახლე და მხოლოდ მათი მეფე აგაგა დატოვა ცოცხალი, რაზედაც უფალი გაუწყრა, ამის შემდეგ მან იგი საკუთარი ხელით გადაჭრა (I მეფეთა, 15:11), (ფსალმუნნი 131:1).

დავითიც გამოდიოდა ხოლმე და თავისიანებთან ერთად ესხმოდა გეშურელებს, მერიზიანელებს და ყამალაკელებს, რომლებიც უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქანაანის მიწაზე და არცერთი მათგანი არ დატოვა ცოცხალი, ხოლო მათ ქონებას თავადვე დაეპატრონა (I მეფეთა, 27:8–9).

დავით მეფე ხალხს სპობდა არა ჩვეულებრივი, არამედ „სადისტური“ მეთოდებით. მაგალითად, ქ.რაკვას აღებისას მისი მაცხოვრებლები ხერხის ქვეშ გაატარა, ზოგი კი გავარვარებულ ღუმელში ჩააგდო. ასევე მოექცა ყამალაკელებსაც (II მეფეთა, 12).

ეს, ასე ვთქვათ საუბარია იმ დავითზე, რომელსაც მიაწერენ ტკბილხმოვან ფსალმუნების შექმნასა და ღვთისადმი მოშიშობას.

რანაირი მორალია ეს, ვერ წარმომიდგენია! არადა აქ ვხვდებით არა ისრაელთა ჩვევას, არამედ თვით ღმერთ იეჰოვას დანაწესს, რასაც სამწუხაროდ ქრისტიანებიც იზიარებენ. ვფიქრობ ასეთი სიმკაცრე გადმოცემულია მხოლოდ იმისთვის, რომ ებრაელთა მტრები, მათივე ხასიათიდან გამომდინარე დაშინებული ყოფილიყვნენ!

„არ იქურდოთ“, „არ იმრუშოთ“, – ცნებასთან დაკავშირებით. ეს წესი პირველად თვით ღმერთი იეჰოვამ დაარღვია, როდესაც მან მოსეს პირით შეუთვალა ეგვიპტეში მყოფ ისრაელებს, გამოსვლის წინ გაექურდათ ეგვიპტელები, რაც შესრულებულ იქნა (გამოსვლა, 3:21–22).

თავის დროზე იეჰოვა შეპირდა აბრაამს, რომ მის შთამომავლებს მისცემდა ყველაფერს, რაც კი რამ ქანაანის მიწაზე მოიპოვებოდა და ასეც მოიქცა. მაშინ, როდესაც იქ არსებულ ქონების შექმნაში არანაირი წვლილი არ მიუძღვოდათ ებრაელებს.

ამას არ დაჯერდა იეჰოვა და შეპირდა ისრაელს, რომ დამატებით კიდევ მისცემდა მიწებს ნილოსიდან ეფრატამდე და ბოლოს გააბატონებდა მსოფლიოზე, საითკენაც მიიღწვიან დღესაც ამ აღთქმიდან გამომდინარე.

„ნუ ისურვებ ახლობლის სახლს, ნურც ახლობლის ცოლს...“, – ლაპარაკობს მცნება, მაგრამ როგორც ჩანს სხვათა მიმართ დაშვებულად მიიჩნევა.

„არ იმრუშო“, აქაც წინააღმდეგობას ვაწყდებით, რამეთუ ებრაელთა პატრიარქებს უამრავი ცოლები ჰყავდათ და სწორედ „მრუშობამ“ შესძინა ებრაელებს მათთვის დამახასიათებელი „ხუცების“ ანუ თავგასულობის თვისება, რის პირველ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ თვით ისრაელის (იუდეას) სახელმწიფოს შექმნა და მთელი მათი შემდგომი ისტორია!

სოლომონს ჰყავდა 700 ცოლი და 300 საყვარელი (III მეფეთა, 11:3). მის ვაჟს, იუდეის მეფე როვოს კი, – 18 ცოლი და 60 საყვარელი (II ნეშტთა, 11:21).

ღმერთი კი არ სჯიდა მათ ამის გამო, არამედ საყვედურობდა მათ ქალების კერპთაყვანისმცემლობის ნიადაგზე.

დავით მეფემ თავის საყვარლის ქმარი იობი განზრახ მოაკვლევინა თავისიანებს ომში, რომ მას დარჩენოდა მისი მეუღლე (II მეფეთა, 11:15).

მსგავს ფაქტებს უამრავს შეხვდებით ბიბლიაში. ისმის კითხვა, ვისთვისდა იყო დადგენილი ხსენებული ნორმები?! ქრისტიანული ეთიკა თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება „ძველი აღთქმის“ მორალს, თუმცა აღიარებს მის საფუძვლებს.

როგორც ჩანს, ბიბლიაში ერთიანი ეთიკური სისტემა არ არსებობს. შეგვიძლია ასეთივე წარმატებით დავედავოთ ქრისტიანულ მორალსაც.

საკითხავია დაიცვა კი რომელიმე ღვთისმეტყველმა ან/და მეფემ თუ გლეხმა „**მთაზე ნაქადაგარი**“, რა დროსაც ქრისტე ამბობდა: „თქვენ გსმენიათ რომ თქმულა, „თვალი-თვალის წილ“, „კბილი-კბილის წილ“.

„მე კი გეუბნებით თქვენ, წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე“.

„ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც თან გაატანე მას“.

„ვინც ერთ მილზე წაყოლა გაიძულოს, ორზე გაყევი“.

„ვინც გთხოვოს, მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ, ვისაც შენგან სესხება სურს“ (მათე, 5:38–42).

აქ მთავარია „წინ არ აღუდგე ბოროტს“ ყველა დანარჩენი მისი ინტერპრეტაციაა. „სიბოროტეში“ კი უნდა ვიგულისხმოთ იმ დროს არსებული ძალადობრივი ცხოვრების წესი, რომლის დაცვაზეც გადამისამართება განიცადა ქრისტიანულმა ფსიქოლოგიამ, თუმცა გათვლილი ებრაულ „მიზანზე“.

აღნიშნულით ებრაელებს აუნთეს „მწვანე შუქი“.

თუმცა ყოველივე ეს შეუძლებელია, რამეთუ ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, მის ინსტიქტებს, რომელშიც რეალიზდება თვით ადამიანის ცხოველური მხარე და რომელსაც კი არ მართავს გონება, არამედ თვით გონება ემორჩილება მას.

ბიბლიური ეთიკა გასაგებია და აღარ გავაგრძელებ, უნდა მივხვდეთ, რომ გათვლილია იუდაიზმით გათვალისწინებულ ებრაელთა მიზანზე!

§–5. ქრისტეს ისტორიულობის შესახებ²⁷

„ახალ აღთქმაში“ მთავარი, – იესოს ისტორიულობის დადგენაა, რამეთუ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მით უფრო, რომ მისი აღიარება, – საფუძვლად უდევს რელიგიურ მოძღვრებას.

ქრისტე რწმენის სიმბოლოა. „გვწამს იესო ქრისტესი, რომელიც იშვა სული წმინდისა და ქალწული მარიამისაგან, განკაცდა, იტანჯა, ჩვენი გულისათვის ჯვარს ეცვა, დაიმარხა, აღსდგა და მესამე დღეს ცად ამაღლდა“, ნათქვამია ნიკეის კრების გადაწყვეტილებაში.

ქრისტიანული რელიგიის ისტორიაში მცდელობა, წარმოედგინათ ქრისტე არა ისტორიულ, არამედ მისტიფიცირებულ ფიგურად, ეკლესიის მიერ შერაცხულ იქნა ერესად.

ქრისტეს მხოლოდ ღვთის წარმომადგენლად აღიარებამ – წარმოშვა მონოფიზიტმი, რაც სხვა ეკლესიებისათვის მიუღებელია, გარდა სომხეთის, რომელზეც აშკარად შეინიშნება ზოროასტრიზმის გავლენა.

ქრისტიანობა მყარად დადგა იმ პოზიციაზე, რომ ქრისტე იყო ადამიანი და ისტორიული პიროვნება, რის უარყოფაც მთელ მის მოძღვრებას ნაცარტუტად აქცევს. ათეისტისათვის ამას მსოფლმხედველობითი მნიშვნელობა არ გააჩნია. გასაგებია, რომ ყოველი რელიგიის სათავეებთან ვიღაც პიროვნებები დგანან, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მათი წარმოშობა და ეს ქრისტიანობასაც ეხება.

აქ კი საკითხავია, იყო კია რეალურად ქრისტიანული რელიგიის დამფუძნებელი კაცი, რომელსაც სახელად ერქვა „იესო“, თუ იგი მოგონილია?

ამ მხრივ იესოს ბიოგრაფიულ მონაცემებში გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით.

„ახალი აღთქმის“ წიგნებში, სახარებათა გარდა ისინი სხვაგან არსად არ გვხვდება. ყველა შემოიფარგლება მინიმუმებით, რაღაც ამბებსა და ვითარებებზე, რომელთა შესახებაც კონკრეტულად შეუძლებელია.

მათესა და ლუკას სახარება იწყება იესოს ცხოვრების აღწერით დაბადებიდან. მეორე სახარება კი – იესოს ბიოგრაფიით ზრდასრული ასაკიდან, როდესაც იგი მიდის იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად.

პირველ ორ სახარებაში იესოს ჩასახვისა და მისი ბავშვობის შესახებ, მცირე და წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნდოვანი ინფორმაციაა გადმოცემული. მათეს მიხედვით მეფე იროდისაგან გადასარჩენად ახალშობილ იესოსთან ერთად, მისი მშობლები გარბიან ეგვიპტეში, საიდანაც ბრუნდებიან იროდის სიკვდილის შემდეგ.

ლუკას სახარების მიხედვით კი, იესოს მშობლები ბეთლემიდან ბავშვთან ერთად მაშინათვე მიდიან ნაზარეთში, სადაც იესო გაატარებს ბავშვობის, ყრმობისა და ახალგაზრდობის წლებს, ვიდრე არ გახდება 30 წლის. ამ მხრივ ლუკა მხოლოდ ერთ ეპიზოდს აღწერს, თუ როგორ აღმოჩნდა იესო 12 წლის ასაკში იერუსალიმის ტაძარში, სადაც ხალხი გააკვირვა თავისი ცოდნითა და სიბრძნით.

დაწვრილებით თხრობას ვხვდებით სახარებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მოძღვრავს მოწაფეებს და ახდენს სასწაულებს და ბოლოს დევნის, ჯვარცმისა და ცად ამალლების დროს.

აღნიშნულიდან ამოიღო იესოს ბიოგრაფიის შესახებ რაიმე ცნობები, დამერწმუნებით, ერთობ ძნელია.

თვით სახარებანიც წინააღმდეგობებითაა აღსავსე. ცნობებს ერთი მეორეში რევენ. თვით ქრისტეს მოქმედებანიც არათანმიმდევრულია. მისი ქცევები, როგორც ეს სახარებაშია გადმოცემული, – არ ექვემდებარება გონივრულ ახსნას.

იესო თავის თავს თვლიდა მღვდლად, ხალხის მასწავლებლად, გააჩნდა სურვილი შეესწავლა ხალხისთვის ღვთიური სიბრძნე და რომ თან გაყოლოდნენ, და თანაც ლოგიკის მიხედვით მხოლოდ ებრაელები.

გვევლინება ღვთის მიერ შეპირებულ „მესიად“ დავითის გვარიდან, რომლის მოსვლის შესახებაც „ძველი აღთქმა“ გვამცნობს ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII ს–დან და თითქოს ყველა წინასწარმეტყველი გვაწვდის ცნობებს, მის მოვლინების შესახებ.

როდესაც მას მიმართავს ქანაანელი ქალბატონი, სავარაუდოდ სამარიელი, დაეხმაროს მის ქალიშვილს, რომელიც შეპყრობილია ავი სულით, იესო პასუხობს, რომ იგი მოვლენილია მხოლოდ „ისრაელის სახლის დაღუპულ ცხვრებთან და დახმარებაზე უცხადებს უარს“ (მათე, 15:24), თუმცა ის ქალბატონი დაჟინებით განაგრძობს თხოვნას დახმარების თაობაზე და აი, ამ დროს იესო იცილებს მას სიტყვებით: „არ არის კარგი, რომ შვილებს წაართვა პური და გადაუგდო ძაღლებს“ (მათე, 15:26), რაც ნიშნავს იმას, რომ იესო ისრაელებს მიიჩნევს თავის, ანუ ღვთის შვილებად, დანარჩენებს კი „ძაღლებად“ და ამ პოლიტიკიდან გამომდინარე ებრაელები სხვა ერის წარმომადგენლებს არ მიიჩნევენ ადამიანებად.

მოკლედ, ქრისტეს ეს სიტყვები ებრაული შოვინიზმის ქვაკუთხედად იქცა, თუმცა მას წინ „თორშიც“ უძღვის მსგავსი აზრის გამომხატველი გამონათქვამები, უფრო სწორედ მე-2 კანონში.

იმავე მათეს სახარებაში ვხვდებით იესოს საწინააღმდეგო აზრს, გამოთქმული მოციქულთა მიმართ: „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ მამისა და ძისა და სული წმინდისა სახელით“ (მათე, 28:19), რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მოგვიანებით შეტანილია სახარებაში. სავარაუდოდ მას შემდეგ, როგორც კი რომის იმპერიამ ქრისტიანობა გაიხადა სახელმწიფო რელიგიად.

იესო მოველინა ებრაელებს ხალხს „რჯულის კანონის“ სწავლებისა და მისი განმტკიცების მიზნით, და არა ახალი რწმენის შესაქმნელად.

ამ მხრივ იგი აცხადებს: „უმაღ ცა და მიწა გადაივლის, ვიდრე ერთი წერტილი ამოვარდება რჯულიდან“ (ლუკა, 16:17).

„გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი“ (მათე, 5:17).

„ჭემმარიტად გეუბნებით თქვენ: „ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა და არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება“ (მათე, 5:18)

ამავე დროს იმავე მათეს სახარებაში ვხედავთ აღნიშნული აზრის გამომრიცხავ ქადაგებას.

„გსმენიათ რომ თქმულა: „არ იმრუშო, მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“.

„თუ გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე, ვინაიდან უმჯობესია შენთვის, რომ ერთი ასოთაგანი დაგელუპოს, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გენიაში“.

„თუ შენი მარჯვენა ხელი გაცდუნებს, მოიკვეთე...“

ასევე ნათქვამია: „ვინც თავის ცოლს გაუშვებს, მისცეს მას გაყრის მოწმობა“.

„მე კი გეუბნებით: „ყოველი, ვინც თავის ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გარეშე, იგი მას მრუშად აქცევს“.

„ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს“.

„მე კი გეუბნებით თქვენ: „წინ ნუ აღუდგებით ბოროტს...“ (მათე 5:27–28). აშკარაა, რომ იესო არა თუ ქადაგებს „ძველ აღთქმას“, არამედ მის წინააღმდეგაც გამოდის და მორჩილობისაკენ მოუწოდებს ხალხს, ანუ უფრო დამონებისაკენ, გეგონება ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდეს, არადა მის სიტყვებში ებრაელთა ახალი პოლიტიკაა ჩადებული.

სახარებათა მხრიდან ქრისტეს ამბების არაერთგვაროვნად გადმოცემა დადასტურებაა იმისა, რომ ქრისტე რეალურად არ არსებობდა და „ძველ აღთქმაში“ მოხსენიებულ მესიას „ახალ აღთქმაში“ ქრისტეს გამოჩენით ასხამენ ხორცს „ძველ აღთქმას“, რათა მეტი დამაჯერებლობა შემატონ იუდაიზმს.

სახარების მიხედვით იესო დაიბადა ბეთლემში, რომელიც იერუსალიმის სამხრეთით მდებარეობს და თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა აღმოჩნდა იგი მშობლებთან ერთად იერუსალიმიდან შორს, ჩრდილოეთით, – ნაზარეთში?

გამოდის, რომ მისი მშობლები ბეთლემში სპეციალურად წავიდნენ, რომ იქ მონაწილეობა მიეღოთ მოსახლეობის აღწერაში, რის შესახებაც ლაპარაკობს ლუკა.

„იმ დღეებში გამოვიდა კეისარ ავგუსტოსის ბრძანება, აღეწერათ მთელი მოსახლეობა. ეს აღწერა პირველი იყო კვირინოსის მმართველობისას სირიაზე“.

„ყველანი მიდიოდნენ ჩასაწერად, თითოეული თავის ქალაქში“;

„იოსებიც წავიდა გალილეის ქ.ნაზარეთიდან იუდეას, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, ვინაიდან იგი დავითის სახლისა და ტომისა იყო“;

„რათა ჩაწერილიყო მარიამთან ერთად, რომელიც მასზე იყო დანიშნული და იყო ორსულად“;

„მათი იქ ყოფნისას შეუსრულდა მარიამს მშობიარობის დღეები“;

„და იშვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბავშვი, ვინაიდან სასტუმროში არ იყო ადგილი მათთვის“ (ლუკა, 2:1–7).

კვლევებით დადგენილია, რომ ამ დროს აღწერის შესახებ ისტორიამ არაფერი არ იცის (გერმანელი ისტორიკოსი ე.შიურერის მიხედვით).

იროდის მეფობის დროს კი – პალესტინაში აღწერის ჩატარება სულაც არ ყოფილა სავალდებულო.

სახარებაში საუბარია აღწერაზე, რომელიც ვითომდა ჩატარდა ჩვ.წ. 07 წელს, რა დროსაც იროდი უკვე სამი წლის გარდაცვლილი იყო.

კვირიანე კი იროდის დროს სირიის ლეგატად საერთოდ არ ყოფილა. ასე რომ, იესოს ბეთლემში დაბადების ვერსია ხელოვნურად მისადაგებულია „ძველ აღთქმას“.

რაც შეეხება ჯვარცმის დროს მომხდარ მიწისძვრას, მზის დაბნელებასა თუ სხვას, რაც აღწერილია სახარებაში, – მკვლევართა მიერ დადგენილი ვერ იქნა და იგიც მიჩნეულია მითად, თუმცა ეპიზოდი გადმოღებულია „ბელმარდუკის ვნებებიდან“.

მითია ასევე იროდის მიერ ახალშობილთა ამოწყვეტაც, რათა მათ რიცხვში მომხდარიყო ახალშობილი ქრისტე.

აღნიშნულის შესახებ ოფიციალურ ისტორიაში არაფერია ნათქვამი, იროდის სხვა ქმედებების შესახებ კი უამრავი ინფორმაციაა შემონახული.

იესოს ბეთლემში დაბადება – სახარების ავტორს კი დასჭირდა იმისათვის, რომ „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველ მიქას სიტყვები: „შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამოვა ხელმწიფე ისრაელში და ძველთაგან იქნება მისი წარმოშობა საუკუნო დღეებიდან. ამიტომ მიუშვებს მათ იმ დრომდე, ვიდრე არ შობს მას, რომელმაც უნდა შობოს“ (მიქა, 5:1–4)– გაემართლებინა.

რაც შეეხება ნაზარეთს, სადაც ვითომდა იესომ გაატარა ბავშვობა და ყრმობა, იგი იმ დროს საერთოდ არ ყოფილა, წარმოებული გათხრების შესაბამისად დასახელებული პუნქტი ნაზარეთი კი ჩნდება „ახალ აღთქმასთან“ ერთად.

ნაზარეთი არ მოიხსენიება ასევე იესო ნავინის მიერ დაპყრობილ ქალაქთა შორისაც. იგი არ მოიხსენიება ასევე იოსებ ფლავიის მიერ ჩამოთვლილ 45 ებრაულ ქალაქთა შორის.

პონტოპილატეს რეზიდენციაც მაშინ იერუსალიმში კი არა ზღვისპირა ქალაქ ცეზარეთში ყოფილა განთავსებული.

ამდენად ცხადი ხდება, რომ სახარების ავტორებმა პალესტინის არა თუ ისტორია, გეოგრაფიაც ცუდად იცოდნენ, ვერ გარკვეულან ასევე მათ საზოგადოებრივ ჩვევებში.

შეუძლებელია იესოს გაეყარა ვაჭრები ტაძრიდან, სადაც ვითომდა ცხოველებით ვაჭროდნენ, რამეთუ ქურუმები ტაძარში ცხოველებით ვაჭრობის ნებას არავის მისცემდნენ, ცხოველებით კი შეეძლოთ ევაჭრათ გარეთ.

მაშინ ხურდა ფულიც არ ყოფილა და იგიც მოგონილია. რაც შეეხება იესოს ტაძარში თვითნებობას, მას უბრალოდ ამის უფლებას არავინ მისცემდა.

სახარებაში ხშირია რომაელ ჯარისკაცთა მოხსენიება, მაშინ როდესაც იმ ხანად ისინი იქ საერთოდ არ ყოფილან, წესრიგის დასამყარებლად კი ადგილობრივებს უმსახურიათ.

რომაული ლეგიონების ჯარისკაცები იერუსალიმში გამოჩენილან იუდას ომის დროს ანუ ახ.წ. 66–73 წწ–ში (იოანე 19:24).

შეუძლებელია იწამოს კაცმა ისიც, რომ იუდეველთა, ე.წ. დღესასწაულ „პასექის“ დღეს იესო გაესამართლებინათ, რადგან სადღესასწაულო დღეებში განსჯა დაუშვებელი ყოფილა.

ამასთან ერთად სასამართლო ძალაუფლება ეკუთვნოდა არა სინედრიონს, როგორც ეს გადმოცემულია სახარებაში, არამედ რომის წარმომადგენელს. ხოლო როდესაც ეს უფლება სინედრიონს ჰქონია გადაცემული, მას შეეძლო იესოს გასამართლება არა მღვდელმთავრის სახლში, არამედ ტაძარში (მათე, 26:27, მარკოზი 15, ლუკა 22).

„პასექის“ დღესასწაულებზე იუდეველებს დამნაშავეს გამშვების ტრადიცია არ ჰქონიათ, ხოლო დასჯის იარაღად არა ჯვარი, არამედ „T“-ს მაგვარი ბოძი ჰქონიათ.

თუ იესოს უმანკოდ ჩასახვაზე შევჩერდებით, რასთან დაკავშირებითაც მის ღვთაებრივ წარმომავლობას ესმება ხაზი, მაშინ რაღა საჭირო იყო მისი დავითის გვარიდან წარმომავლობით მოხსენიება?

აღნიშნულის დასადასტურებლად მათეს გაკეთებული აქვს გენეოლოგიური ჯაჭვი აბრაამიდან-ქრისტემდე, რაც 42 თაობას ითვლის. ლუკას კი – ანალოგიური ჯაჭვი გაკეთებული აქვს ადამიდან იესომდე, რომელიც 56 თაობისაგან შედგება, ანუ 12 თაობით მეტი და თუ ამ 12 თაობას მოვაშორებთ, მაშინ იესოს წინაპრებად სულ სხვა ადამიანებს ვღებულობთ.

შეუსაბამობაა აშკარად, თუმცა მას „სახარებისტები“ ხსნიან, თითქოსდა მათეს აღეწერა მამის, ლუკას კი – დედის ხაზით.

ხსენებული ახსნა არასერიოზულია, რამეთუ მატრიარქატის შემდეგ დედის ხაზით შთამომავალთა აღრიცხვა არცერთ ხალხს აღარ ჰქონია, მით უფრო ებრაელებს, რომლებიც მამის ხაზს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველად, დედის ხაზს კი მნიშვნელობა მიანიჭეს XX ს–ში.

მათეს ვერსიით იროდისაგან გადარჩენის მიზნით მცირეწლოვანი იესო ეგვიპტეში გაიყვანეს (მათე, 2:14,15). ლუკა კი ამაზე დუმს და გადმოგვცემს, რომ იგი მშობლებთან ერთად მთელი ცხოვრება პალესტინაში იყოვო.

პირველი სამი სახარების მიხედვით იესო არენაზე გამოსვლამდე, ვიდრე არ გახდებოდა 30 წლის, ცხოვრობდა გალილეიში, იოანეს სახარების მიხედვით კი გეგონება მან მთელი ცხოვრება გაატარა იერუსალიმში.

მათესა და მარკოზის მიხედვით იესო მონათლა იოანემ (მათე, 3:13–16, მარკოზი, 1:9), ლუკას სახარების მიხედვით კი, – იესო თავად გაინათლა, რადგან იოანე იმყოფებოდა ციხეში (ლუკა, 3:19–21).

მათეს მიხედვით იესო იერუსალიმში შევიდა „პასექამდე“ ოთხი დღით ადრე, იოანეს სახარების მიხედვით კი – ხუთი დღით ადრე.

იესოს ბიოგრაფიის თაობაზე მსგავსი შეუსაბამობანი უამრავია „ახალ აღთქმაში“. მთეს მიხედვით ორივე ჯვარცმული ავაზაკი ლანძღავდა იესოს (მათე 27:44), ლუკას მიხედვით კი, – ერთი ავაზაკი, მეორე კი მასზე ლოცულობდა (ლუკა, 23:39–42).

აღდგომის შემდეგ ქრისტეს გამოცხადებაც ხალხთან სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. იოანეს მიხედვით იესო უპირველეს ყოვლისა გამოეცხადა მარიამ მაგდანელს, შემდეგ კი მოციქულებს (იოანე, 20:14–24).

ლუკას მიხედვით იესო ჯერ გამოეცხადა ორ უცნობს, შემდეგ კი მოციქულებს (ლუკა, 24:13–36).

მარკოზი კი ამ ამბავს სამ ნაწილად გადმოგვცემს. იესო ეცხადება ჯერ მარიამ მაგდანელს, მერე ორ მოციქულს, შემდეგ კი დანარჩენებს.

მათესაც თავისი ვერსია გააჩნია. მის მიხედვით, იესო უპირველეს ყოვლისა გამოეცხადა ორ ქალს, მარიამ მაგდანელას და მის მეგობარს (მათე, 28:1–9).

ასე რომ, სახარებაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით იესოს ბიოგრაფიის შესახებ არაერთგვაროვან ცნობებს.

ასობითი მეცნიერი იკვლევდა რა იესოს ბიოგრაფიას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „სახარება“ არ არის ისტორიული ცნობა, ხოლო იესო ქრისტე – ისტორიული პიროვნება, რაც უნდა იცოდეს ყველა მორწმუნემ თუ ათეისტმა და ბრმად არ უნდა სწამდეთ ბიბლია.

ამიტომაც „სახარება“ უბრალოდ ცნობილი იქნა სპეციფიკური ჟანრის მქონე ნაწარმოებად.

ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციებს ვაწყდებით **დავიდ შტრაუსისა და ერესტ რენანის წიგნებშიც.**

ასე რომ იესო ნაზარეთელი, რომლის მოძღვრების შესახებაც არაერთი წიგნია გამოცემული და 2000 წელზე მეტია გვაიძულებენ ვიაროთ მისი გზით, – რეალურად არარსებულია ცხოვრებაში.

თუმცა „ყურანი“ ლაპარაკობს: „იესო არ მოუკლავთ, მის ადგილას სხვა მოკლესო“ (ყურანი, IV:156).

ამდენად, იესოს მითი იშლება ცალკეულ ისტორიულ პრობლემებად და ბოლო 150 წ–ია ამოტივტივდება ხოლმე სხვადასხვა ვარიაციების სახით.

ყველაფერი გასაგებია. თუმცა ბიბლიამ რომ არ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა თეოლოგები ცდილობენ როგორმე მოარგონ იგი თანამედროვეობას.

ამ მიზნით ხდება მისი ძირითადი საკითხების ახლებური განმარტება და მოდელირება.

ამ მხრივ ნიშანდობლივია 1972 წელს პოლონურ და ესპანურ ენებზე გამოცემული ბიბლიები, რომლებშიაც აშკარად შეინიშნება მოდერნიზმი.

აღნიშნულ გამოცემებში ბიბლიას მიიჩნევენ არა სიმართლისა და ჭეშმარიტების ეტალონად, როგორც ამას ქადაგებდნენ, არამედ – სიმბოლოების კრებულად.

ლაპარაკია უმითო ბიბლიის გამოცემაზეც. ასევე „ახალი აღთქმის“ გამოცემის შესახებ, რომელშიაც გაშუქებული იქნება მხოლოდ იესოს ეთიკური ქადაგებანი, დანარჩენზე კი სურთ თქვან უარი.

ბიბლიის მოდერნიზმის სასტიკი წინააღმდეგია ვატიკანი. რადგან მას, როგორც ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებულ თეოლოგიურ სახელმწიფოს, ბიბლიისა და ქრისტიანობის შერყევის შემთხვევაში, – არსებობა არ უწერია. ამიტომაც მათი ხელუხლებლივი შენარჩუნებისათვის იგი იბრძვის.

ბიბლიასა და ქრისტიანობას კი საფრთხე ემუქრება იმ მხრივ, რომ ადრე თუ გვიან მიხვდება ხალხი სიცრუეს და თანდათანობით შეაქცევენ ზურგს. ხოლო ეს რომ არ მოხდეს ქრისტიანობის მიმდინარეობები ხალხს ექაჩება სიბნელესა და უმეცრობისკენ, – „აღსასრულის დღის მოახლოების“ სისტემატური შეხსენებით. სწორედ ამიტომ იყო რომ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკლესია ეწინააღმდეგებოდა ბიბლიის გავრცელებას, რათა ხალხს არ გაეგო მისი სიყალბე და ქრისტიანული რელიგიისათვის არ შეექციათ ზურგი!

§–6. ვის ინტერესებს ემსახურება ბიბლია?

ა) „ძველი აღთქმის“ მიხედვით,

რომ გავერკვეთ ვის ინტერესებს ემსახურება იუდაიზმი, საჭიროა დავინახოთ მისი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ვინ შეიძლება ყოფილიყო დაზარალებული ან/და ვინ მიიღებდა სარგებელს სანქციის სახით.

„გამოსვლა“:

იჰოვა-მოსეს: 1. „არ გააკეთო არც ქანდაკება და არც არანაირი მსგავსება იმისა, რაც მაღლა ცაშია, დაბლა მიწაზე და რაც წყალშია, მიწის ქვემოთ“ (20:4). აშკარაა, რომ აკრძალვა მიმართულია ხალხის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რათა ქურუმებს მათი მრწამსის შეცვლით არ შელახიყოთ ავტორიტეტი და არ შემცირებიყოთ შესაწირების სახით შემოსავალი. მეორე მხრივ კი მცდელობაა, ხალხი მუდმივად ყოლოდათ რელიგიურ ტყვეობაში.

2. „არ აცოცხლო გრძნეული“ (22:18), – რათა მონოპოლია შეინარჩუნონ ხალხთა სულიერებაზე, კვლავ შემოსავლების შენარჩუნებისა და მისი გაზრდის მიზნით.

3. „ვინც იეჰოვას გარდა სხვა ღმერთებს შესწირავს მსხვერპლს, – უნდა განადგურდეს“ (22:20), მიზეზი, – იგივე შემოსავლების შენარჩუნებაა, რამეთუ შიში იწვევს ნების პარალიზებას. არადა რამდენი შემთხვევაა, როდესაც ერთი ქვეყნის ფარგლებში რამდენიმე აღმსარებლობას აქვს ადგილი.

4. „... შენი ვაჟებიდან პირმშო მე უნდა მომცე“ (22:29).

5. „ასევე ხბოც და ბატკანიც, შვიდ დღეს დატოვე თავის დედასთან და მერვე დღეს მე უნდა მომცე“ (22:30). სჭირდებოდა კი ღმერთს ისინი, თუ არა თვით მღვდელმთავრებს, თუ ვიტყვით სახელმწიფოს სჭირდებოდა, ისიც მითი იყო რადგან სახელმწიფო იყო თეოლოგიური.

6. „არ აჰყვე მრავალს ბოროტებაში და არ დაემოწმო დავაში ისე, რომ უმრავლესობას მიემხრო და სამართალი გაამრუდო“ (23:2), – აკრძალვას ხალხის ერთმანეთისადმი მხარდაჭერისა, რათა მასობრივი უკმაყოფილების შემთხვევაში არ შექმნოდათ საფრთხე ექსპლოატატორებს.

7. „წელიწადში სამჯერ გამიმართე დღესასწაული“ (23:14), რისთვის? თუ არა დამატებითი შემოსავლების მისაღებად და რომ ხალხი არ გავიდეს ქვეყნიდან, ყოფილიყვნენ რელიგიის მძევლები.

8. „იეჰოვა მოუწოდებს ისრაელს დაპყრობილ ქვეყნებში დაანგრიონ მათი სამსხვერპლოები, დაამტვრიონ მათი წმინდა სვეტები და აჩეხონ მათი წმინდა ბოძები“ (34:13), – რომ მათი მოსახლეობა გადავიდეს იუდაიზმზე, ხოლო ებრაელებს არ ჰქონდეთ საცდუნებელი მათკენ გადასვლის.

9. „ელაპარაკა იეჰოვა მოსეს: „წმინდა ჰყავით ჩემთვის ისრაელის საშვილოსნოს გამღები ყოველი მამრი, კაცისაც და ცხოველისაც, ჩემია ისინი“ (13:2). მერამდენედ მეორდება ღმერთის ეს მოთხოვნა, თუმცა ისინი ღმერთს კი არა, ქურუმებს სჭირდებოდათ, რომლებსაც გამოიყენებდნენ მღვდლებად, ჯარისკაცებად ან/და გაყიდვად მონად.

მოსე – ებრაელებს: „გახსოვდეთ ის დღე, როცა გამოხვედით ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან, რადგან იეჰოვამ თავისი ძლიერი ხელით გამოგიყვანათ იქიდან“ (13:3).

„ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის“ საქმეში ღმერთი იეჰოვას ღვაწლზე ისე ხშირადაა მინიშნებები ბიბლიაში, რომ გრჩება შთაბეჭდილება, თითქოსდა ეს მითი ქურუმთა მიერ სპეციალურად ყოფილიყო შეთხზული, რომ ხალხისთვის დაემადლებინათ „მოპოვებული“ თავისუფლება და ღმერთის შიშით, უპრობლემოდ ეხადათ გადასახადები.

10. იეჰოვა ავალდებულებს ებრაელს: „გამოისყიდე ყოველი პირველი მოგებული ვირი ცხვრით, თუ არ გამოისყიდი კისერი გადაუმტვრიე...“ (13:13).

რა გამოდის, თუ კაცს არ ეყოლებოდა ცხვარი ან/და არ ექნებოდა მისი შემენის საშუალება, რომ გამოესყიდა მოგებული ვირის ჩოჩორი, მისთვის კისერი უნდა გადაემტვრიათ? ამით რა ხეირი ღმერთს, თუ არა მრევლში ღმერთისადმი შიშის დანერგვა და ხალხისგან დამატებითი შემოსავლების მიღება.

იქვე მოსე დასძენს: „ფარაონი სიჯიუტეს ავლენდა და არ გვიშვებდა, იეჰოვამ კი დახოცა ყოველი მათი პირმშო ეგვიპტის მიწაზე, კაცისაც და ცხოველისაც. ამიტომ ვწირავ იეჰოვას ყოველ მამრს, რომელიც საშვილოსნოს აღებს და გამოვისყიდი ყოველ პირმშოს ჩემს ძეთაგან“ (13:15). ე.ი. რადგან იეჰოვამ ეგვიპტეში მათი ბავშვები დახოცა და თქვენებს არ შეეხოვო, სანაცვლოდ აქ უნდა გამოისყიდოთ თქვენი ახალშობილებიო? – ასე გამოდის. და თუ ეს ასეა, მაშინ რაღაში გამოიხატებოდა ღმერთის სიკეთე, თუ კი ანალოგიურად მოექცეოდა თავისივე ხალხს?!

ხელს აძლევდა რა „ეგვიპტიდან გამოსვლის“ თემა იუდეველ ქურუმებს, მათ იგი აქციეს იუდაიზმის პლატფორმად.

11. იეჰოვა მოსეს: „მიწისაგან ამიგე სამსხვერპლო და ზედ შესაწირი დასაწვავი მსხვერპლი და მშვიდობის მსხვერპლი. შენი ცხვარი – ძროხა. ყოველ ადგილას, სადაც სამახსოვროს გავხდი ჩემს სახელს, მოვალ შენთან და გაკურთხებ“ (20:24), – მინიშნებაა საკულტო ნაგებობათა სისტემის შექმნაზე, რაც აუცილებელი იყო ერთიანი რელიგიური იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოსთვის და რომელშიც ქურუმთა ინტერესები იყო ჩადებული .

„ძველი აღთქმა“ გაჯერებულია ერთი და იგივე გადასახადების მრავალჯერადი გამეორებით და ჩვენც აღარ გავმეორდებით.

ცნობილ „ათ მცნების“ დარღვევაზეც სანქციის სახით დაწესებულია რიგი ქონებრივი გადასახადები და ცხადია მასაც ქურუმები დაეპატრონებოდნენ, პირველ ქურუმად კი თვით მეფე უნდა ვიგულოთ. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ შემოსავლების ნაწილი სახელმწიფოებრივ საჭიროებაზეც გაიხარჯებოდა, მაგრამ უფრო არა. იხ. „გამოსვლის“ 21–22 თავები.

აშკარაა, რომ რწმენის სანაცვლოდ ღმერთისთვის ებრაელებს უნდა ეხადათ მუდმივად გარკვეული ხარკი, რაც ცხადია ქურუმთა ხელში გადადიოდა.

მაშინ ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ ქურუმების გარეშე ვერანაირად ვერ გამოხვიდოდი საქმიდან, სიკვდილი იყო, დაბადება, ქორწინება, ავადმყოფობა თუ ტრაპეზი, – ყველაფერზე საჭირო იყო ქურუმების თანხმობა და მათი კურთხევა, ხოლო თუ არ დაემორჩილებოდი, - სასჯელი გქონდა გარდაუვალი.

შესაწირთა შორის იყო: ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო; ლურჯი ძოწეული, ჭიაფერი მატყლი, სელი, თხიური; ცხვრის ტყავები, ურთხეულის ძელები; ზეთი, ნელსაცხები; სარიდიონის თვლები და სხვა ძვირფასეულობა, რაც სჭირდებოდა არა თუ არარსებულ ღმერთს, არამედ მისი სახელით მოლაპარაკე ქურუმებს.

ქურუმებს ადვილად რომ ემართად ისრაელი „რჯულის კანონის“ მიხედვით და რომ არ გადასულიყო ხალხი სხვა აღმსარებლობაზე, მათ დაშინების მიზნით შეთხზეს ლეგენდა, თითქოსდა „ხბოს“ კერპის შექმნის გამო მოსეს ამოეწყვიტა სამი ათასი ებრაელი (32:26–8), რაც ცხადია არ შეესაბამება სინამდვილეს და ემსახურება შიშის დანერგვას.

აღნიშნული ლეგენდით კი „მოსეს რჯული“, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ საგადასახადო კოდექსი გეგონება, ქურუმებმა ყოველგვარ ადამიანურ ღირსებაზე მაღლა დააყენეს, რამაც განაპირობა ის, რომ ებრაელი ხალხი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა (უცვლელ), რელიგიოზირებულ საზოგადოებად, მათი თემობრივი კონფედერაცია კი გაერთიანდა, – იუდეის სახელმწიფოდ, რაც რა თქმა უნდა არ მოხდებოდა ეგვიპტის გარეშე.

„ლევიანები:“

1. **„დაიცავით ჩემი წესები და სამართალი, – აცხადებს იეჰოვა, – ვინც დაიცავს იცოცხლებს“** (18:15), – ვინც არ დაიცავს? გამოდის, რომ უნდა მოეკლათ? რაც ნიშნავს იმას, რომ იუდაიზმი იყო უპირობო რელიგია გათვლილი დიდ მიზანზე.

2. მოსე ხალხს: **„იმ დღემდე, სანამ ღმერთს შესაწირავს არ შესწირავთ, არ ჭამთ არც პური, არც მოხალული მარცვალი და არც ახლად შემოსული თავთავი. ეს არის სამარადისო წესი თქვენი თაობებისათვის, სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ“**. (23:14).

აღნიშნულით რელიგიური ვალდებულება პირად უფლებაზე მაღლა დააყენეს. მაგრამ, ხომ გასაგებია, ვინ დგას მის უკან? მთელი ხალხის მასა კი მოიაზრება ქურუმთა ყმებად, მონებად, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იუდაიზმი, უპირველესი ყოვლისა, გამოხატავს ქურუმთა, ანუ ექსპლოატატორთა ინტერესებს. ხოლო ხალხი, – ნაცვლად დაპირისპირებისა, მოხიბლული მსოფლიოზე გაბატონების იმედით, – ფეხდაფეხ მიყვება რელიგიურ დოგმებს.

3. **„თუ კვლავ ჩემს წინააღმდეგ ივლით და არ ისურვებთ, რომ მომისმინოთ, შვიდმაგად დაგცხებთ თქვენი ცოდვებისათვის“** (26:21), აცხადებს იეჰოვა და პირდება ებრაელებს:

„შემოგისევთ მინდვრის მხეცებს, ამოგიწყვეტენ შვილებს და მოგისპობენ შინაურ ცხოველებს, მცირე რიცხოვანს გაგხდიან და გზებს გაგიუკაცრიელებენ“ (26:22).

რა თქმა უნდა, ქურუმები „წინააღმდეგ სვლასა“ და „არ მოსმენებაში“ გულისხმობდნენ „რჯულის კანონის“ დაუცველობას, რაშიც გადამწყვეტი როლი საეკლესიო გადასახადებს უნდა მიკუთვნებოდა და სწორედ ეს აღელვებდა მათ.

„...მოგივლენთ ჭირს და მტრის ხელში ჩაცვივდებით“ (26:29).

„შეჭამთ თქვენი ვაჟებისა და თქვენი ასულების ხორცს“ (26:29).

„გაგანადგურებ თქვენს წმინდა მალღობებს და დავამხოთ თქვენს სასაკმევლებს, თქვენს გვამებს კი თქვენი ნეხვიანი კერპების ნამსხვრევებზე დავყრი და შეგიზიზღებთ“ (26:30), და ა.შ. და ა.შ., რასაც რა თქმა უნდა „ეგვიპტიდან ზღვის გაპობით გამომყვანი“, იეჰოვას მითით დაპურებული იუდეველი იჯერებდა და უსიტყვოდ ასრულებდა სახელმწიფოებრივად ქცეულ რელიგიურ მოთხოვნებს.

ქურუმები შემოსავლების მისაღებად იქამდეც კი მივიდნენ, რომ დაუშვეს ადამიანის ღმერთშეწირვა, ხოლო მის გამოსასყიდად დაადგინეს მაღალი ფასები.

4. იეჰოვა მოსეს: „უთხარი ისრაელის ძეებს, თუ ვინმე განსაკუთრებულ აღთქმას მისცემს იეჰოვას, რომ შესწირავს სულებს დადგენილი საფასურის შესაბამისად ოციდან სამოც წლამდე მამაკაცის საფასური იქნება 50 შეკელი ვერცხლი წმინდა ადგილის შეკელის მიხედვით“.

„ქალის „საფასური“ – 30 შეკელი იყოს, 5–20 წლამდე ბიჭის საფასური კი – 20 შეკელი და გოგოსი – 10 შეკელი.“

ერთი თვიდან ხუთ წლამდე ბიჭის საფასური – 5 შეკელია და გოგოსი – 3 შეკელი ვერცხლი“. (27:1–6).

5. „ყოველი მეთედი მიწისა, მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა, – უფლისაა, უფლის წმინდაა“, აცხადებს ღმერთი.

„ყოველი მეთედი ხარ-პროხისა და ცხვრისა, ყოველი მეთე კომლის ქვეშ გამავალთა შორის უფლის წმინდაა“ (27:30–32).

როგორც ხედავთ „რჯულის კანონის“ ძალით, ქურუმები და მასთან ერთად თეოლოგიური სახელმწიფო, რომლის მესვეურებიც თავადვე იყვნენ, გვევლინებიან საერთო სახალხო საკუთრების მეთედის თანამესაკუთრებად.

აღნიშნული და არა მარტო, უფრო მეტი სიცხადითაა წარმოდგენილი მოსეს რჯულის „მეორე კანონში“, რისდა მიუხედავად თავს შევიკავებთ მის გაშუქებისაგან, რამეთუ „თორის“ არსი ნათელია. იგი წარმოადგენს რელიგიური მოტივით მოსახლეობისაგან გადასახადების დადგენა-აკრეფის ერთდაგვარ მანიფესტს, საგადასახადო კოდექსსა და რომ მან იმუშაოს დადგენილია უპირობო ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის მუქარით მხოლოდ შესრულებას. მაკონპენსირებლად კი ჩადებულია მსოფლიოზე გაბატონების

პირობა. თუმცა უპირატესობა ენიჭება გადასახადების გაღებას, „მეორე“ კი ამას ემსახურება. ამ ბოლო დროს ეს როლები შეცვლილია.

რაც შეეხება „თორის“ იდეის შეთქმულების „დამაჯერებელ“ ტექსტად გადაზრდაში, რაც განხორციელებულია წინასწარმეტყველთა წიგნებსა და „ახალი აღთქმაში“, მასაც გადასახადების გაღებისა და მეტი შემოსავლების მიღების იდეა უდევს საფუძვლად და არა სულიერება.

თუ პირველ შემთხვევაში გადამხდელად ვხედავთ ებრაელ ხალხს, მეორე შემთხვევაში, - რეგიონს, ევროპას და მთელ მსოფლიოს.

ბიბლიაში ჩადებული ყველა სხვა ინფორმაცია გამოყენებულია მხოლოდ შეთქმულების შესაფუთ მასალად .

„მალაქია“:

ღმერთი მალაქიას: „თქვენი მამა-პაპის დროიდან მოყოლებული გადადიოთ ჩემს წესებს და არ იცავდით მათ. დამიბრუნდით და მეც დაგიბრუნდებით“.

„განა მოჰპარავს ადამიანი ღმერთს რამეს?! მაგრამ თქვენ მპარავთ. ამბობთ: რას გპარავთ? მეთადებებსა და შესაწირავებს. მთელი ერი მწყევლით და მპარავთ“.

„მოიტანეთ მთელი მეთადეი საცავში, რომ იყოს საკვები ჩემს ხელში და გამომცადეთ ამაში, – ამბობს იეჰოვა... თუ არ გაგიხსნათ ცის კარიბჭეები და არ გადმოვცალო თქვენზე უხვი კურთხევა“ (3:7–10).

მალაქიას ამ სიტყვებში იხსნება კვანძი ჩემი ყველა ზემომინიშნებებისა, რომ ქურუმებს ძირითადად აინტერესებდა არა ხალხის გასაჭირი, არამედ მათ მიერ შესაწირის გაღება, რის გადაუხდელობის შემთხვევაშიაც იმუქრებოდნენ ღმერთის სახელით.

ბ) „ახალი აღთქმის“ მიხედვით

1. ქრისტე ამბობს: „არ იფიქროთ თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი“ (მათე, 5:17).

„რჯულის კანონი“ ან/და „წინასწარმეტყველნი“ ჩვენ უკვე ვიცით თუ რა მოთხოვნებს უყენებს ხალხს და აღნიშნულის შესახებ ჩვენი მოსაზრება ნათელია. ქრისტეს იდეოლოგია თუ პოლიტიკა მათგან არაფრით განსხვავდება.

აღნიშნულის დასადასტურებლად ქრისტე კიდევ ერთხელ გვიმეორებს:

2. „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არცერთი იოტა ან/და არცერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ შესრულდება“ (მათე, 5:18).

3. „... ჩემი მოძღვრება, ჩემი კი არაა, არამედ მისია, ვინც მე მომავლინა“ (იოანე, 7:16), ის კი მოავლინა იეჰოვამ, რომლის არსიც ჩვენთვის უკვე ნათელია.

ასე რომ, ქრისტეს არსი „ძველი აღთქმის“ ლოგიკური გაგრძელებაა და შესაბამისად ექსპლოატატორთა ინტერესების დაცვა.

ქრისტეს ქადაგება მთაზე „თვალი-თვალის წილ“ და სხვა ამგვარი, რაც გათვალისწინებულია მათეს სახარების მეხუთე თავის 38,39,43,44-ე პუნქტებით, – მინიშნებაა ბოროტებისადმი დათმობაზე, რაც კეთილსინდისიერ ადამიანს პასიურ მდგომარეობაში აყენებს, აიძულებს უარი თქვას თავის ბუნებრივ ინსტიქტებსა და უფლებებზე.

4. „... ყველა ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება და ვინც თავს დაიმაბლებს – ამაღლდება“ (ლუკა, 14:11). რა თქმა უნდა, სხვადასხვა ვითარებაში ეს ასედაც არის და აქ ახალი არაფერია. თუმცა ამ მოწოდებით ქრისტე ცდილობს ადამიანთა ცხოვრება სტატიკაში ანუ უმოძრაობაში დატოვოს და მიგვანიშნებს, რომ იმ ხანად არსებულ მონათა კლასს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებასა თუ ექსპლუატაციიდან თავის დაღწევაზე არც კი უნდა ეფიქრა, იყავით ისეთები, როგორებიც ხართ–ო!.

აქ „თავ ამაღლებულეხ“, იქ ღვთის სამსჯავროზე „დამდაბლება“ გელით–ო. ასე აპურებდა ხალხს. თუ იუდაიზმი ქურუმთა ინტერესებთან ერთად თეოლოგიური სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავდა, რადგან ორივე ერთ არსს წარმოადგენდა, ქრისტიანობა მისგან განსხვავებით მხოლოდ გაბატონებულთა კლასის ინტერესების მატარებლად უნდა წარმოვიდგინოთ.

5. „... თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციური მამა“ (მათე, 6:14). ამით, რა თქმა უნდა გზა ეხსნება ბოროტებას, რომლის დამცველადაც თვით ქრისტე გვევლინება.

თუმცა რა უყოთ სამართალს, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის თანმდევი რეგულიატორია, ან/და რომელ ზეციური მამის „მიმტევებლობაზეა“ საუბარი, როდესაც იგი თვითონ რაზმავდა ებრაელებს უდანაშაულო ხალხის ამოსაწყვეტად, არის კი იგი სანდო?

6. „მოთმინებით მოიპოვეთ თქვენი სული“ (ლუკა, 21,19).

ამ ციტატას მივყევართ ნათქვამთან, რაც ცხადია ეხება მონებს, რომ მათ მოუთმინონ თავიანთ მფლობელებს, რომ ვითომდა იმ ქვეყნად „მოიპოვონ“ მარადიული სიცოცხლე.

7. „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ“ (მათე: 7:11), – მოწოდებაა ანარქიისაკენ, ხოლო ქრისტე, – ქაოსის მომხრედ გვევლინება.

8. „... თავის ადგილას ჩააბრუნე ეგ მახვილი, ვინაიდან ყველა მახვილის ამღები, მახვილითვე დაიღუპება“ (მათე, 36–52).

აღნიშნულით ქრისტე რჩევას იძლევა სპარტაკის აჯანყებიდან გამომდინარე და აფრთხილებს მონებს ძალის გამოყენებით განთავისუფლებაზე არც კი იფიქროთ, რამეთუ ისეთივე ბედი გეწევათ, როგორც ხსენებულ აჯანყებულებსო, ამაზე მიგვანიშნებს.

9. **„მე ნათელი ვარ წუთისოფლის, ვინც წამომყვება ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას“** (იოანე, 8:12).

ამას ლაპარაკობს „კაცი“, რომელიც მართლა კაცი კი არა, იდეალიზირებული პიროვნებაა, ოღონდ მოწოდებულია ამყოფოს ხალხი უმეცრებაში, მათივე მარცვა-ფსიქოლოგიური გაუვნებელყოფის მიზნით.

10. ქრისტემ თავის „ნეტარებებში“ დაგვანახა მხოლოდ გაბატონებულ კლასთა ინტერესები (მათე 5:3–10).

„ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს, ნურც იმას, რაც წუთისოფელშია, ვისაც წუთისოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული“ (იოანე, 2:15). ამით ქრისტე მოუწოდებს ხალხს აიღონ ხელი აქტიურ ცხოვრებაზე, რათა მათ ქონებას დაეუფლნენ მდიდრები, რომელთა შორის, ცხადია უპირატესად იქნებოდნენ ებრაელები. ეს მოწოდება მთლიანად გამოხატავს ქრისტიანული რელიგიის ცბიერებას.

მოციქულთა სწორი პავლე, რომელიც აღიზარდა ფარისევლებში (იუდაისტური სექტა, რომლის ძირითადი ნიშანი იყო სიამაყე და ფარისევლობა), გახლდათ რავინ გამაალის ხელქვეითი, სწავლობდა მასთან „რჯულის კანონს“ და ცხადია მასაც ექნებოდა სურვილი გამოსულიყო რავინი, მაგრამ ქრისტიანად გვევლინება და აი, რას ბრძანებს:

11. **„... მიჰყევით მორჩილთ, ...“**

„ნურავის ნუ მიაგებთ ბოროტების წილ ბოროტს, ცდილობდეთ კეთილს ყოველი ადამიანის წინაშე“.

„...ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით“.

„შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, ... ადგილი მიეცით უფლის რისხვას“ (პავლე რომაელთა, 12:16–20).

პავლეს ეს სიტყვები ქრისტეს გამეორებაა და მიმართულია იქითკენ, რომ არანაირი რეაგირება არ მოახდინონ სოციალურ თუ სხვა სახის უსამართლობაზე და განსჯა მიანდონ ღმერთს. აღნიშნულით მას სურს ადამიანებმა უარი თქვან საკუთარ ბუნებრივ ინსტიქტებზე, რომ მდაბიონმა რაიმე დისკონფორტი არ შეუქმნან ექსპლოატატორთა კლასებს.

12. პავლე მოუწოდებს: **„ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელისუფლებას. ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფობა თუ არა ღვთისგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი“.**

„ამიტომაც ხელმწიფების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღვთის დადგენილებას, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“.

„... თუ გსურს, რომ ხელმწიფებისა არ გეშინოდეს, კეთილი აკეთე და ქებას მიიღებ მისგან“.

„ვინაიდან იგი ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ“. ე.ი. გაბატონებულ კლასთა არსებობას მიიჩნევს ნორმად.

პავლეს მოწოდება – „თითოეული დარჩეს იმ მოწოდებაში, რომელშიც მოუწოდეს“ (პავლე კორინთელთა, 7:20), – ანუ მონა დარჩეს მონად, ბატონი – ბატონად, ავაზაკი – ავაზაკად და ა.შ. ნიშნავს იმას, რომ ახალი რელიგიით ვინმემ რაიმე შეღავათი არ მოითხოვოს. რაც მოწმობს იმას, რომ ქრისტიანული რელიგიის ღვთისმსახურები თავად წარმოადგენენ გაბატონებულ კლასთა ნაწილს და არიან მონათმფლობელებთან ალიანსში. იგი აცხადებს: „დაემორჩილეთ მონებო, თქვენს ხორციელ ბატონებს შიშითა და კანკალით, გულწრფელად, როგორც ქრისტე“ (პავლე ეფესელებს, 6:5).

ეს და სხვა ამის მსგავსი მოწოდებები სულაც შეიძლება თვით რომისა და ბიზანტიის იმპერატორთა დაკვეთით იქნა შეტანილი სახარებაში „რადგან მათ წისქვილზე ასხამდა წყალს!“

უშუალოდ რელიგიიდან სარგებლის მიღებაზე ბრძანებს:

„არა გვაქვს ჭამა-სმის უფლება? მოსეს რჯულში სწერია: „პირს ნუ აუკრავ მღეწავ ხარს. განა ხარზე ზრუნავს ღმერთი?“

„თუ სულიერი დაგითესეთ, განა დიდი ამბავია, რომ თქვენგან ხორციელი მოვიმკათ“?

„თუ სხვებს ძალაუფლება აქვთ თქვენზე, განა ჩვენ უფრო მეტად არა?“

„ნუთუ არ იცით, რომ მღვდელთ-მსახურნი ტაძრისგან ჭამენ, სამსხვერპლოს მსახურნი კი მსხვერპლიდან იღებენ წილს?“ (პავლე I კორინთელთა, 9:4, 11–13). ეს ჩვენეული შეფასების გულწრფელი აღიარებაა!

შემდეგ პავლე დასძენს:

„...უფალმა დაუწესა სახარების მქადაგებლებს სახარებისგან ცხოვრება“ (პავლე I კორინთელთა, 9:14), და მათაც იოლი ცხოვრება აირჩიეს და არა არსებული ღვთის სიყვარულის გამო.

აღნიშნულიდან გასაგებია, რომ ქრისტიანული რელიგიის მამები „შრომობენ“ არა ხალხის სულიერი განვითარებისათვის, არამედ საკუთარი და გაბატონებულ კლასთა ინტერესებიდან გამომდინარე.

„ყოველ შაბათს თითოეულმა თქვენთაგანმა გადადოს თავისთან და გადაიხადოს წარმატებისამებრ, რათა ჩემი მოსვლისას არ იწყებოდეს შეგროვება“.

„ხოლო, როცა მოვალ, ვისაც თქვენ ცნობთ სანდოდ, იმათ მივავლენ წერილებით თქვენი ძღვენის იერუსალიმში წასაღებად“ (პავლე I კორინთელთა, 16:2,3).

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რა რაოდენობის „ძღვენი“ შეიკრიბებოდა მთელი რომის იმპერიაში, რასაც ადგილი ექნებოდა გარკვეული პერიოდულობით, და დღესაც ალბათ ასეა.

„ვინც ბევრი აკრიფა, ზედმეტი არ ჰქონდა, ხოლო ვინც ნაკლები, – არ აკლდა“ (პავლე II კორინთელთა, 8:15).

პავლეს ეს სიტყვები მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასსა და მისწაირებს, სულაც არ ენადვლებოდათ, ბევრს აკრეფდნენ თუ ნაკლებს, მთავარი იყო მუდმივად ეხადათ მორწმუნეებს გადასახადები.

„...ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც კურთხევით თესავს, ის კურთხევით მოიმკის“ (პავლე II კორინთელთა, 9:6), – ასე აინტრიგებდა ხალხს პავლე მეტის გადასახდელად.

„აჰა, მე ვამბობ: მოიქეცით სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს, ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი, ხორცის საწინააღმდეგო“.

ამ სიტყვებით პავლეს მივყევართ ადრე თქმულამდე, სადაც იგი ქრისტესამებრ მოუწოდებს ხალხს ხელი აიღონ ამ ქვეყნიურზე და იფიქრონ მხოლოდ იმ ქვეყნიურზე.

„და თუ სულით იარებით რჯულის ქვეშ აღარ ხართ“, ე.ი. „მოსეს რჯულის“ ანუ იუდაიზმის მიმდევრები აღარ ხართ და ქრისტეს რწმენისანი გახდითო. ასე მიჯნავს პავლე ძველი და ახალი აღთქმების მიმდევრებს.

„ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, ურწმუნობა და თავაშვებულება“. „კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა“, „სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმადლობა და სხვა ასეთი, გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს“, რაც რა თქმა უნდა არ არის ასე და მის უკან იმალება სულ სხვა რამ.

„ხოლო, რაც შეეხება სულის ნაყოფს: სიყვარულს, სიხარულს, მშვიდობას, სულგრძელობას, სახიერებას, ერთგულებას, სიმშვიდესა და თავშეკავებას, – ამათ წინააღმდეგი არ არის რჯული. ქრისტიანებმა ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცის ვნებები გულისთქმებთან ერთად“. რამეთუ „თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიარებოდეთ“ და „ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი, ერთმანეთის გამღიზიანებელნი და ერთმანეთის მოშურნენი“–ო (პავლე გალათელთა, 5:16–26), აღნიშნავს პავლე.

ამ სიტყვებით იგი ამ ქვეყნიურ სულიერ თუ ხორციელ საკითხებს ერთმანეთისაგან განაცალკევებს და რელიგიური დოქტრინიდან გამომდინარე დამოუკიდებელ მწკრივებად გვიხასიათებს, რაც საერთო ლოგიკასა და კანონზომიერებას მოწყვეტილია. მისთვის მთავარია ადამიანი იქცეს მოსიარულე ზომბად ვიდრე „წარსდგება მამის წინაშე“.

პავლე უმაღლავს ხალხს, რომ სიკეთე და ბოროტება, ისე როგორც სული და ხორცი ერთი მეორის გარეშე არ არსებობენ, ერთი მეორეს შეიცავს და ერთი მეორისაგან მომდინარეობს. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ არსებობს ასტრალური სულები, რომლებიც სხვა განზომილებაში არიან და ჩვენს სამყაროსთან უშუალო კავშირი არ გააჩნიათ, თუმცა შეუძლიათ მატერიალიზება და გვმართონ კიდევაც.

აღნიშნული ქადაგებით მოციქული თესავს უმეცრებას და ცდილობს მოწყვიტოს ადამიანი რეალობას, რათა ადვილად მიაჯაჭვოს არარსებულ ილუზიურ საკრალურს... რომლის მეშვეობითაც პირდება სამოთხეს.

პავლეს სიტყვები: „ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“ (პავლე ეფესელთა, 6:5,9,11,12), – არანაირად არ შეესაბამება რეალობას, რამეთუ „სიბნელე“ და „ბოროტება“ მომდინარეობს ძალაუფლების მპყრობელთა მხრიდან, რომელთანაც თავადვე კრძალავს დაპირისპირებას რელიგია, რომ უპრობლემოდ მიგვიყვანონ კაცობრიობის ისტორიულ სამსხვერპლოზე მოშიახთან!

§–7. რა შედეგი მოუტანეს ებრაულმა რელიგიებმა (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) კაცობრიობას?

აბრამული რელიგიებიდან იუდაიზმი, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ქრისტიანობასა და ისლამს, ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. მისი დამსახურებაა ჯერ კიდევ ძვ.წ. XI–X სს–ში, მესოპოტამიიდან და არა მარტო, დევნილ ურია-ქალდეველთაგან, პალესტინის ტერიტორიაზე, ქანაანში, თეოლოგიური სახელმწიფო იუდეის შექმნა და მისი მოქალაქეების ჯერ ებრაელ ერად, შემდეგ კი ებრაულ რასად გადაქცევა.

თვით სიტყვა „იუდეა“, – როგორც ვიცით ძველ ივრიტზე ნიშნავს ლომს, იუდაიზმი კი „ლომიზმს“, რაც ლომის ცხოველთა სამყაროში დაკავებული ადგილიდან გამომდინარე კაცობრიობის მპყრობელად მოიაზრება.

თავისი შინაარსით იუდაიზმი, ანუ მოსეს რჯული კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულების მატარებელია, რაც თუ არა, არ იქნებოდა არც იუდეის (ისრაელის) სახელმწიფო, არც ებრაელი ერი და არც ის უბედურება, რაც გვატყდება თავს ბოლო 2000 წლის განმავლობაში, მათ შორის „გლობალიზმი“ და მომავალი საფრთხეები, რომელიც გვიქადის მოშიახოს კარიბჭესთან მიყვანას.

თუ არ იქნებოდა იუდაიზმი მომავალი სახელმწიფო იუდეის (ისრაელის) მოქალაქეთა სატყუარად გამოყენებული, შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა წარმომავლობის ხალხთა ერთი იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანება და მათგან ერთ, ებრაულ ერად ჩამოყალიბება, რაც ერთი შეხედვით მარტივად ჩანს, მაგრამ რავინთა დიდი შრომის შედეგია.

იუდაიზმი ეყრდნობა ძირითადად „მოსეს ხუთწიგნულს“, რომელსაც ვეძახით „თორს“.

ეს კანონიკური კრებული არა მარტო „რჯულის კანონია“, არამედ ებრაელთა ქცევის „სამოქალაქო კოდექსიც“, რომელსაც ენაცვლება „თალმუდი“. იგი მათი ყოფიერების განმაპირობებელი ძირითადი კანონია, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

ასე იქნება, ვიდრე არ მიაღწევს ებრაელი ხალხი თავის ძირითად მიზანს, – მსოფლიო ბატონობას!

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად.

„თორს“ თავისი მნიშვნელობა რომ არ დაეკარგა ებრაელი ქურუმები დრო და დრო სძენდნენ მას წინასწარმეტყველთა სახელით სულ უფრო და უფრო ახალ სიცოცხლეს, და შეთქმულებით დასახულ მიზანს გვიხატავდნენ უფრო ნათლად, რათა მეტი ნდობა გამოეწვია ხალხის და გაყოლოდნენ ამ რელიგიურ მიმდინარეობას. ასე გაგრძელდა ვიდრე ისრაელი არ მოექცა რომის იმპერიის შემადგენლობაში. ამ დროისთვის კი უკვე შედგენილ იყო „წინასწარმეტყველთა“ წიგნთა ფონდი, რომელსაც „ძველი აღთქმა“ ეწოდა.

ძვ.წ. I–ათასწ–ის შუა პერიოდიდან, ფაქტობრივად მისგან ამოზრდას იწყებს „თალმუდი“, ებრაელთა სხვა ერებისაგან დახურული თვალსაზრისი ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე.

